

ნამდვილი მერი პოპინსის დაბრუნება

ავტორი [მაკა ლდოკონენი](#)

რას ნიშნავს ნამდვილი?..

ახლავე მოგახსენებთ და ქართველი მკითხველისთვის ერთ მტკივნეულ საკითხსაც შევხები: საქმე იმაში გახლავთ, რომ პამელა ტრევერსისეული ტექსტები მერი პოპინსის შესახებ ქართულ ენაზე დღემდე არ გახლდათ ნათარგმნი. 1960-იან წლებში, რუსმა საბავშვო მწერალმა ბორის ზახოდერმა ტრევერსის პირველი ორი წიგნიდან რამდენიმე თავი ამოარჩია, თარგმნა, მცირედი ცვლილებები შეიტანა და გამოსცა. სწორედ ის წიგნი გავრცელდა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში და სწორედ იმ წიგნს ვკითხულობდით დღემდე.

და აი, ცოტა ხნის წინ, გამომცემლობა „დიოგენეზ“ და მთარგმნელმა ლელა ღუმბაძემ პამელა ტრევერსისეული ორიგინალი ტექსტის იდენტური თარგმანი შემოგვთავაზეს – ჯერჯერობით მხოლოდ პირველი ორი ტომი: „მერი პოპინსი“ და „მერი პოპინსის დაბრუნება.“ აქვე იმასაც დავამატებ, რომ მერი პოპინსის შესახებ სულ რვა წიგნი არსებობს.

რომელმა ქარმა გადმოაგდო ჩვენკენ?

ნებისმიერ საბავშვო წიგნს აქვს დაწერის ორიგინალური წინაისტორია და ამ მხრივ გამონაკლისი არც „მერი პოპინსი“ ყოფილა: ერთხელ, პამელა ტრევერსს მოსავლელად ორი ბავშვი დაუტოვეს და სწორედ მათთვის შეთხზა ამბავი ძიძაზე, თუთიყუშისთავიანი ქოლგა რომ ჰქონდა და ჩანთით წარმოუდგენლად ბევრ ნივთს დაატარებდა. ამბავი მალე ზღაპრად იქცა. „მერი პოპინსის“ გამოცემა კი – ტრევერსის პირველ სერიოზულ ლიტერატურულ წარმატებად. მას კიდევ შვიდი წიგნი („**Mary Poppins Comes back,**“ „**Mary Poppins Opens the Door,**“ „**Mary Poppins in the Park,**“ „**Mary Poppins From A to Z,**“ „**Mary Poppins in the Kitchen,**“ „**Mary Poppins in Cherry Tree Lane,**“ „**Mary Poppins and the House Next Door**“) მოჰყვა. 1977 წელს პამელა ტრევერსს ბრიტანეთის იმპერიის ოფიცრის წოდება მიანიჭეს. მისი ზღაპრები ინგლისურ ოჯახში სამუშაოდ მისულ ძიძაზე კი ბრიტანული საბავშვო ლიტერატურის კლასიკად აღიარეს. წიგნები მერი პოპინსზე თანდათან მრავალ ენაზე ითარგმნა და მთელ მსოფლიოში დაიმსახურა სიყვარული თუ პოპულარულობა.



ამბავი ისევ ალუბლების ქუჩიდან იწყება...

უფრო სწორად რომ ვთქვათ, თავგადასავალში ჩაბმას ალუბლების ქუჩის მიგნებით ვცდილობთ და ამ საქმეში კვლავ გზაჯვარედინზე მდგარი, თეთრხელთათმანებიანი პოლისმენი გვეხმარება. ბენქსების სახლში არეულობაა: „ბებერი, მსუქანი და ნახარშისსუნიანი“ ძიძა უკვალოდ გამქრალა. მართლაც რომ შესაშური გარემოა ზღაპრული ძიძის გამოსაჩენად და... ზენა ქარიც არ აყოვნებს.

- **აქ როგორ მოხვდით? – ჰკითხა ჯინმა. – მოგვეჩვენა, თითქოს ქარმა გადმოგადგოთ ჩვენკენ.**
- **-ასეც იყო, – მოკლედ მოუჭრა მერი პოპინსმა და ყელზე მოხვეული მარფის მოხსნას შეუდგა.**

დარწმუნებული ვარ, უამრავი ადამიანისთვის ნაცნობი და საყვარელი ფრაზები კვლავ კითხვის საღერდელს აგიშლით და ბენქსებთან ერთად ბავშვობაში დაბრუნების სურვილითაც აგავსებთ. თუმცა... ვისაც ჯერ არაფერი წაუკითხავს მერი პოპინსის შესახებ, წინ აღმოჩენების საოცარი სამყარო ელის. მით უმეტეს, რომ მათ წარმოუდგენლად გაუმართლათ – სწორედ იმ ტექსტს გეცნობიან და გაითავისებენ, ნამდვილ ავტორს რომ ეკუთვნის!